მუხლი 13. გამოცდების ჩატარების წესები

1. დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება ეძლევა სტუდენტს, რომელსაც დადგენილ ვადებში გადახდილი აქვს სწავლის საფასური სრული მოცულობით და შუალედური შეფასებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.

სტუდენტის გამოცდაზე ჩაჭრის საფუძველია:

ა) დანიშნულ გამოცდაზე გამოუცხადებლობა არასაპატიო მიზეზით ან გამოცხადება და გამოცდის მსვლელობისას აუდიტორიის არასაპატიო მიზეზით დატოვება;

ბ) შეფასების მიღება გამომცდელზე მუქარით, ფიზიკური თუ ფსიქოლოგიური ზემოქმედებით, მოტყუებით, თაღლითობით და სხვა დაუშვებელი ხერხების გამოყენებით;

გ) გამოცდაზე სხვისი ნაშრომის ან დაუშვებელი ჩანაწერების (ე.წ. "შპარგალკა") გამოყენება;
დ) აუდიტორიიდან გაძევება საგამოცდო დიციპლინური ნორმების დარღვევის გამო;
დ) დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის 50%-ზე ნაკლების მიღება;

2. დანიშნული გამოცდის საპატიო მიზეზით გადავადება ან გამოცდაზე უარის თქმა შესაძლებელია სტუდენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე, მოთხოვნის საპატიო მიზეზის მითითებითა და დასაბუთებით, რაზეც ფაკულტეტის დეკანი გამოცემს შესაბამის ბრძანებას.

3. გამოცდის განმეორებით ჩაბარების პირობები:
ა) 41-დან 50 ქულამდე სემესტრული შეფასების პირობებში სტუდენტს კიდევ ერთხელ ეძლევა დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება კურსის განმეორებით მოსმენის გარეშე;

ბ) სემესტრულ, დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს, რომლის წინასაგამოცდო კომპონენტებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასებათა ჯამი 41 ქულაზე არანაკლებია, კიდევ ერთხელ ეძლევა დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება კურსის განმეორებით მოსმენის გარეშე;

გ) საბაკალავრო ან სამაგისტრო ნაშრომის არადამაკმაყოფილებლად შეფასების შემთხვევაში, მისი განმეორებით დაცვაზე წარმოდგენა იმავე სემესტრში დაუშვებელია;

4. სტუდენტი გამოცდაზე განმეორებით დაიშვება შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ბრძანების საფუძველზე დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადებში.

5. თუ მიღებულ ქულათა ჯამი 41 ქულაზე ნაკლებია, სტუდენტი ვალდებულია თვითდაფინანსების გზით განმეორებით მოისმინოს სასწავლო კურსი.

6. ძირითად ან დამატებით გამოცდაზე საპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, ძირითადი ან დამატებითი გამოცდებისათვის დადგენილ ვადაში გამოცდის ჩაბარება დასაშვებია დეკანის სახელზე სტუდენტის მიერ დაწერილი განცხადების საფუძველზე, გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზის მითითებითა და დამადასტურებელი დოკუმენტის წარდგენით. გადაწყვეტილებას სტუდენტის გამოცდაზე დაშვების შესახებ იღებს დეკანი. ძირითად და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის შემთხვევაში სტუდენტისათვის საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნა დასაშვებია მხოლოდ მაშინ, როცა ძირითად და დამატებით გამოცდებზე გამოუცხადებლობის მიზეზს წარმოადგენს სახელმწიფო ან უნივერსიტეტის ინტერესი, ან როდესაც დასტურდება გამოცდაზე გამოცხადების ფიზიკური შეუძლებლობა. გადაწყვეტილებას საგამოცდო პერიოდის გასვლის შემდეგ, მომდევნო სემესტის დაწყებამდე, გამოცდის ინდივიდუალური წესით დანიშვნის თაობაზე დეკანის წარდგინების საფუძველზე იღებს უნივერსიტეტის რექტორი.

7. ძირითად და დამატებით გამოცდებზე არადამაკმაყოფილებელი შეფასების მიღების შემთხვევაში სტუდენტი შესაბამისი ფაკულტეტის დეკანის ბრძანების საფუძველზე, თვითდაფინანსების გზით განმეორებით მოიმენს შესაბამის სასწავლო კურსს.

8. სტუდენტის მიღწევების შეფასება

1.სტუდენტის მიღწევების შეფასება სწავლების ყველა საფეხურზე ხორციელდება შემდეგი წესით:

ა. ცალკეულ საგნებში სტუდენტთა ცოდნის შეფასება, ასევე საბაკალავრო/სამაგისტრო/ სადოქტორო ნაშრომის შეფასება ხორციელდება 100 ქულიანი სისტემით.
ბ. სასწავლო კურსი ათვისებულად ითვლება, თუ სტუდენტის საბოლოო შეფასება ტოლია ან მეტია მაქსიმალური შეფასების 51%.
გ. საბაკალავრო/სამაგისტრო/სადოქტორო ნაშრომის შეფასება დადებითია, თუ ნაშრომის შეფასება ტოლია ან მეტია მაქსიმალური შეფასების 51%.
2. შეფასების სისტემით დასაშვებია ა). ხუთი სახის დადებითი შეფასება:
(A)ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91 % და მეტი; (B)ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81-90 %
C)კარგი - მაქსიმალური შეფასების 71-80 % (D)დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61-70 % (E)საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51-60 %
ბ). ორი სახის უარყოფით შეფასება:
(FX) ვერ ჩააბარა - მაქსიმალური შეფასების 41-50%, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს

ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება.
(F) ჩაიჭრა - მაქსიმალური შეფასების 40% და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. დასკვნითი შეფასებების მიღება ხდება შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის შეფასების დაჯამების საფუძველზე.
3. უარყოფითი შეფასების (FX) მიღების შემთხვევაში სტუდენტს დამატებით დასკვნით გამოცდაზე გასვლის უფლება აქვს იმავე სემესტრში. დასკვნით და შესაბამის დამატებით გამოცდას შორის შუალედი უნდა იყოს არანაკლებ 5 დღისა.
სასწავლო კომპონენტში სტუდენტის სემესტრული შეფასების ფორმებია:
შუალედური შეფასებები (ერთჯერადი ან მრავალჯერადი);
დასკვნითი შეფასება.
სასწავლო კომპონენტის შეფასების სისტემაში შეფასების ფორმებს შორის ხვედრითი წილის განაწილება ხდება სასწავლო კომპონენტის სილაბუსით. ასევე სილაბუსით განისაზღვრება სასწავლო კომპონენტის შეფასების კომპონენტები, მეთოდები და კრიტერიუმები (ცვლილება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 მაისის #24 დადგენილებით (ოქმი#6)).

პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.
6. საბოლოო შეფასება გამოითვლება ცალკეულ კომპონენტებში მიღებული ქულების ჯამით.
7. დასკვნით გამოცდაზე დადებით შეფასებად ითვლება დასკვნითი გამოცდისათვის დადგენილი მაქსიმალური შეფასების 51% და მეტი. დასკვნით გამოცდაზე 50% და უფრო ნაკლები შეფასების მიღების შემთხვევაში, თუ სტუდენტს წინასაგამოცდო კომპონენტებში მიღებული შეფასებებით ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 51% და მეტი, განმეორებით აბარებს დასკვნით გამოცდას. ასევე განმეორებით აბარებს დასკვნით გამოცდას სტუდენტი, თუ მიიღებს დადებით შეფასებას, მაგრამ სემესტრულ შეფასებაში ჯამურად უგროვდება მაქსიმალური შეფასების 41-დან 50%-მდე, ხოლო 41%-ზე ნაკლები შეფასების დაგროვების შემთხვევაში (მიუხედავად დასკვნით გამოცდაზე მიღებული დადებითი შეფასებისა) კურსს გაივლის განმეორებით.
8. დასკვნით გამოცდაზე ჩაჭრილ სტუდენტს, რომლის შეფასებათა ჯამი შეადგენს მაქსიმალური შეფასების 41–50%-ს, ეძლევა კურსის განმეორების გარეშე დასკვნითი გამოცდაზე კიდევ ერთხელ გასვლის უფლება, 41%–ზე ნაკლები შეფასების შემთხვევაში კურსს გაივლის განმეორებით.

შეფასების თითოეულ ფორმაში განსაზღვრული უნდა იყოს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. დასკვნითი შეფასების მინიმალური კომპეტენციის ზღვრის ხვრდრითი წილი არ უნდა აღემატებოდეს დასკვნითი შეფასების 60 %-ს. სასწავლო კურსის პედაგოგი უფლებამოსილია შუალედური შეფასების კომპონენტშიც

განსაზღვროს მინიმალური კომპეტენციის ზღვარი (ცვლილება სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2017 წლის 30 მაისის #24 დადგენილებით (ოქმი#6)).

10. საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსის/საგნის თავისებურების გათვალისწინებით, შუალედური, დასკვნითი და დამატებითი გამოცდები შეიძლება ჩატარდეს წერილობით, ზეპირად ან ელექტრონულად.

11. დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისათვის გამოიყენება შეფასების შემდეგი სისტემა:

ა) ფრიადი (summa cum laude) – შესანიშნავი ნაშრომი;

ბ) ძალიან კარგი (magna cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აღემატება;

გ) კარგი (cum laude) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს აღემატება; დ) საშუალო (bene) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს ყოველმხრივ აკმაყოფილებს;

ე) დამაკმაყოფილებელი (rite) – შედეგი, რომელიც, ხარვეზების მიუხედავად, წაყენებულ მოთხოვნებს მაინც აკმაყოფილებს;

ვ) არადამაკმაყოფილებელი (insufficienter) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს მნიშვნელოვანი ხარვეზების გამო ვერ აკმაყოფილებს;

ზ) სრულიად არადამაკმაყოფილებელი (sub omni canone) – შედეგი, რომელიც წაყენებულ მოთხოვნებს სრულიად ვერ აკმაყოფილებს.

ამ მუხლის"ა"-"ე" პუნქტებით გათვალისწინებული შეფასების მიღების შემთხვევაში
დოქტორანტს ენიჭება დოქტორის აკადემიური ხარისხი.

12. დოქტორანტის სასემინარო ნაშრომი ფასდება ასქულიანი სისტემით: ოპონენტის მიერ თემის შეფასება - მაქსიმალური შეფასების 60%; პრეზენტაცია - მაქსიმალური შეფასების 40%. ოპონენტის შეფასება დადებითად ითვლება, თუ თემა შეფასდება 50% და მეტით. სემინარის პრეზენტაცია ფასდება მაქსიმალური შეფასების 40%-ის ფარგლებში წინასწარ დადგენილი კრიტერიუმებით. პრეზენტაციაში დადებით შეფასებად ითვლება დადგენილი მაქსიმალური შეფასების 51% და მეტი. მთლიანობაში დადებით შეფასებად ითვლება მაქსიმალური შეფასების 51% და მეტი. ერთ-ერთ კომპონენტში უარყოფითი შეფასების მიღების შემთხვევაში, მთლიანი შეფასება ითვლება უარყოფითად.

13. სტუდენტთა აკადემიური დავალიანების დასაფარავად სასწავლო წლის განმავლობაში პროგრამით გათვალისწინებულ60 კრედიტის ზევით ეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს 15 კრედიტი.

14. სტუდენტის მიერ დამატებითი სალექციო კურსების მოსმენა ხორციელდება ძირითად ჯგუფებთან ერთად.

15. დამატებით სალექციო კურსებზე სტუდენტთა რეგისტრაცია ხორციელდება ფაკულტეტებზე სემესტრის ადმინისტრაციული რეგისტრაციის დამთავრებიდან ორი კვირის განმავლობაში.

16. თუ სტუდენტი ძირითად სასწავლო ვადაში ვერ ასწრებს აკადემიური

დავალიანების დაფარვას, დეკანატის მიერ შეიძლება დაინიშნოს დამატებითი სემესტრი/ები.

17.პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობა თეორიის კომპონენტის ფარგლებში მოიცავს ლექციაზე დასწრებას/სამუშაო ჯგუფში მუშაობას, დამოუკიდებელ მეცადინეობასა და გამოცდების მომზადება-ჩაბარებას, ხოლო პრაქტიკის კომპონენტის ფარგლებში – პრაქტიკულ მეცადინეობასა და გამოცდის ჩაბარებას.

18. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამემის შემთხვევაში, კრედიტების განაწილების, პროფესიული სტუდენტის სასწავლო საქმიანობის (დატვირთვის) და პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასების წესი განისაზღვრება შესაბამისი პროფესიული საგანამანათლებლო პროგრამის ჩარჩოდოკუმენტით ან/და მოდულით.
19. პროფესიული სტუდენტის მიღწევების შეფასება

1.შეფასება არსებობს განმავითარებელი და განმსაზღვრელი.

განმავითარებელი შეფასება შესაძლოა განხორციელდეს როგორც ქულების, ასევე ჩათვლის პრინციპების გამოყენებით.

განმსაზღვრელი შეფასება ითვალისწინებს მხოლოდ ჩათვლის პრინციპებზე დაფუძნებული (კომპეტენციების დადასტურებაზე დაფუძნებული) სისტემის გამოყენებას და უშვებს შემდეგი ორი ტიპის შეფასებას:
ა) სწავლის შედეგი დადასტურდა;
ბ) სწავლის შედეგი ვერ დადასტურდა.

განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე. განმსაზღვრელი შეფასებისას უარყოფითი შედეგის მიღების შემთხვევაში პროფესიულ სტუდენტს უფლება აქვს, მოითხოვოს სწავლის შედეგების მიღწევის დამატებითი შეფასება პროგრამის დასრულებამდე. თუ ამ შედეგების მიღწევის შეფასება სხვა მოდულის განხორციელებისთვის არ წარმოადგენს დამაბრკოლებელ გარემოებას, ეს იმას ნიშნავს, რომ ეს მოდული არ არის სხვა მოდულის წინაპირობა.

შეფასების მიმართულებები და შეფასების ინსტრუმენტების ალერნატიული ჩამონათვალი მოცემულია შესაბამის მოდულში.